# თავი 8

## პროექტები

სისტემა საშუალებას გაძლევთ, თქვენი ფირმის ბუღალტერია აწარმოოთ სხვადასხვა პროექტით. პროექტების გამოყენება მოსახერხებელია ფილიალების ან განყოფილებების არსებობის დროს. აგრეთვე, გამოიყენება ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების გაძღოლისათვის. საქმიანობის ქვეშ იგულისხმება წარმოება, საშუამავლო საქმე, რეალიზაცია და ა.შ.

გარდა ამისა, პროექტების გამოყენება მოსახერხებელია კრედიტის სხვადასხვა ტრანშების გაძღოლისათვის, რაც გულისხმობს ბანკიდან კრედიტის შესახებ სრული ინფორმაციის აღრიცხვას (აღებული კრედიტის ჭრილში რა ხარჯები, შემოსავლები, დაფინანსებები და ა.შ. იყო).

განვიხილოთ როგორ ხდება პროექტების შექმნა კონკრეტულ მაგალითზე. დავუშვათ, ორგანიზაციამ "EKO_2005" გადაწყვიტა გახსნას მეორე მაღაზია, რისთვისაც ბანკიდან აიღო სესხი - 7000 ლარი. ამის გარდა, ორგანიზაციამ ბანკიდან აღებული სესხით გადაიხადა მაღაზიის იჯარის გადასახადი 900 ლარი, რემონტისათვის გაწია 2150 ლარის ხარჯი და მაღაზიის ინვენტარის შესაძენად დახარჯა 3450 ლარი. ორგანიზაციის მიზანია ამ მაღაზიაზე გაწეული ხარჯები აწარმოოს ცალკე. ზემოთ მოყვანილი ხარჯების აღსარიცხავად უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:

| *დებეტი* | *კრედიტი* | *თანხა* | *საფუძველი* |
|---|---|---|---|
| 1210 4 | 4140 | 7000 GEL | აღებულია ბანკის სესხი |
| 7420 | 1210 4 | 900 GEL | მაღაზიის ფართზე გადახდილი იჯარა |
| 7440 | 1210 4 | 2150 GEL | რემონტის ხარჯები |
| 7425 | 1210 4 | 3450 GEL | ინვენტარის შეძენის ხარჯები |

ახალი მაღაზიის ხარჯების ცალკე აღრიცხვისათვის საუკეთესო გამოსავალია შევქმნათ ახალი პროექტი და შევასრულოთ საბუღალტრო გატარებები მაღაზიისათვის განკუთვნილ პროექტში. ახალი პროექტის შესაქმნელად ძირითადი მენიუდან "**ფონდები**" აირჩიეთ ქვემენიუ "**პროექტები**":




იხილავთ ეკრანს:




როგორც ხედავთ სისტემაში უკვე არსებობს პროექტი **"მთ.წიგნი".** ახალი პროექტის დასამატებლად აირჩიეთ ღილაკი - "**I დონის პროექტის დამატება**". იხილავთ ეკრანს:




ველში "**პროექტი**" აკრიფეთ - "N2 **მაღაზია**", ხოლო კომენტარის ველში მაგალითისთვის აკრიფეთ ამ მაღაზიის მისამართი - რუსთაველის 26. დააჭირეთ OK - ს. იხილავთ ეკრანს:




დააჭირეთ Yes - ს. დაინახავთ, რომ პროექტების სიაში გაჩნდება თქვენს მიერ დამატებული პროექტი:






როგორც ხედავთ ეკრანის ინსტრუმენტების პანელზე არსებობს ღილაკები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია პროექტების სიაში გააკორექტიროთ უკვე არსებული პროექტი ღილაკით - **"კორექტირება F2"** (შესძლებთ მხოლოდ კომენტარის ველის კორექტირებას), დაამატოთ ქვეპროექტი ღილაკით - "**I დონისთვის ქვეპროექტის დამატება**" და წაშალოთ არსებული პროექტი ღილაკით - "**წაშლა Delete**".

დახურეთ პროექტების ეკრანი.

ეხლა შევასრულოთ ზემოთ მოყვანილი საბუღალტრო გატარებები. ამისათვის, გამოიძახეთ გატარებების ეკრანი ღილაკით - და დაამატეთ ახალი გატარება ღილაკით - , ან კლავიატურაზე დააჭირეთ "Insert" - ს. იხილავთ გატარების დამატების ეკრანს, რომლის ველები შეავსეთ შემდეგნაირად:




როგორც ეკრანზე ხედავთ ველში "**პროექტი**" ავტომატურად ჩაჯდა "**მთ.წიგნი**". როგორც გახსოვთ ჩვენი ორგანიზაციის მიზანი არის მაღაზიასთან დაკავშირებული ხარჯების ცალკე აღრიცხვა. ამისათვის,

დააჭირეთ ველის "**პროექტი**" გასწვრივ მდებარე ღილაკს - [...]. ეკრანზე გამოვა პროექტების სია, სადაც მონიშნეთ პროექტი - "**N2 მაღაზია**". მოსანიშნად დააჭირეთ "თაგვი" - ს მარცხენა ღილაკით პროექტის წინ მდებარე კვადრატზე, რის შემდეგაც მასში გაჩნდება ალამი ☑, რაც ნიშნავს, რომ პროექტი მონიშნულია.




აირჩიეთ ეს პროექტი ღილაკით - [OK] "**არჩევა**" ან კლავიატურაზე აკრიფეთ ღილაკების კომბინაცია "**Ctr+Enter**". დაინახავთ, რომ თქვენს მიერ არჩეული პროექტი ჩაჯდება გატარების დამატების ეკრანის შესაბამის ველში:




ისარგებლეთ ღილაკით - [შემდეგი >>] და შეასრულეთ ზემოთ მოყვანილი მომდევნო გატარებებიც. ნახავთ, რომ გატარებების ეკრანში დაემატება თქვენს მიერ შესრულებული საბუღალტრო გატარებები:






როგორც ეკრანზე ხედავთ ჩვენს მიერ ბოლოს დამატებულ ოთხივე გატარებისთვის პროექტების ველში ჩაჯდა გატარებების შესრულების დროს მითითებული პროექტი "**N2 მაღაზია**".

ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის საჭიროა დეტალური ანგარიშების მიღება, თუ რა შემოსავლები და ხარჯებია გაწეული თითოეულ პროექტზე. თავდაპირველად ვნახოთ მაღაზიასთან დაკავშირებული საბუღალტრო ოპერაციები როგორ აისახება ნაშთებში. ამისათვის, ანგარიშთა გეგმაში აირჩიეთ ბარათი "**ნაშთები**" და ვალუტა "**Gel**".




როგორც ხედავთ, ეკრანზე ჩანს მხოლოდ პროექტის "**N2 მაღაზია**" მდგომარეობა, ანუ ამ პროექტში შესრულებული საბუღალტრო გატარებების შესაბამისი ნაშთები. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გატარებების შესრულების დროს, ბოლო გატარებაში სწორედ ეს პროექტი იყო გამოყენებული. ამას გვიჩვენებს ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში არსებული ველი [პროექტი: N2 მაღაზია].

ამავე ეკრანში შესაძლებელია იხილოთ სხვადასხვა პროექტებში შესრულებული საბუღალტრო გატარებების ნაშთები. ჩვენს შემთხვევაში ეკრანზე შეგვიძლია გამოვიტანოთ პროექტის "**მთ.წიგნი**" ნაშთები (ამ პროექტშია შესრულებული დოკუმენტაციის წინა თავებში განხილული გატარებები). ამისათვის, მიიყვანეთ "თაგვი" ველთან - . გაჩნდება ნიშანი - , რის შემდეგაც დააჭირეთ "თაგვის" - ს მარცხენა ღილაკს. ეკრანზე გამოვა თქვენთვის ნაცნობი პროექტების სია, სადაც მონიშნული იქნება პროექტი "**N2 მაღაზია**". გადანიშნეთ ეს პროექტი და მონიშნეთ "**მთ.წიგნი**". ბოლოს დააჭირეთ ღილაკს - . იხილავთ ეკრანს:



ამჯერად როგორც ხედავთ ნაშთების ეკრანზე გამოტანილია მხოლოდ "**მთ.წიგნი**" - ს ნაშთები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციაში არსებობს რამოდენიმე პროექტი და გაინტერესებთ ერთდროულად რამოდენიმე ან ყველა პროექტის ნაშთები. ამისათვის, პროექტების სიაში უნდა მონიშნოთ ყველა ის პროექტი, რომელთა ნაშთებიც გაინტერესებთ. მაგალითისთვის ვნახოთ როგორ შეიძლება ერთდროულად "**N2 მაღაზია**" - ს და "**მთ.წიგნი**" - ს ნაშთების ნახვა. ამისათვის, ნაშთების ეკრანში, მიიყვანეთ "თაგვი" ველთან "**პროექტი**" და როდესაც იგი მიიღებს ხელის გამოსახულების ფორმას - , გამოიძახეთ (დააჭირეთ "თაგვი" - ს მარცხენა ღილაკს) პროექტების სია, სადაც მონიშნეთ ორივე პროექტი:






დააჭირეთ ღილაკს - , დაინახავთ, რომ ნაშთების ეკრანში გამოჩნდება ორივე პროექტის ნაშთები.



იგივენაირად შეგიძლიათ იხილოთ ბრუნვების, ანგარიშის ბარათის და ა.შ. უწყისები, როგორც ცალკეული პროექტებისთვის, ასევე ერთდროულად რამოდენიმე ან ყველა პროექტისთვის.

აგრეთვე, შესაძლებელია სასტარტო ნაშთების დასმა სხვადასხვა პროექტში, თუკი სასატრო ნაშთების დასმის დროს აირჩევთ სასურველ პროექტს.

ეხლა განვიხილოთ ასეთი შემთხვევა. დავუშვათ ორგანიზაციამ გადაწყვიტა საწყობიდან (იხილეთ თავები 3 და 5) 1 ცალი კომპიუტერი გადაიტანოს N2 მაღაზიაში. რადგანაც კომპიუტერის შემოსვლის ოპერაცია შესრულებულია პროექტისთვის "**მთ.წიგნი**", ამისათვის, აუცილებელია ამ პროექტიდან 1 ცალი კომპიუტერის შესაბამისი ფინანსური და რაოდენობრივი ნაშთი გადავიტანოთ პროექტში "**N2 მაღაზია**". ნაშთების ასეთნაირად გადასატანად, საჭიროა გამოვიყენოთ ტრანზიტული ანგარიში და შესრულდეს შემდეგი საბუღალტრო გატარებები:

| პროექტი | დებეტი | კრედიტი | თანხა | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| მთ.წიგნი | B100 | 1610 1 1 00002 | 700 GEL | 1 ცალი |
| N2 მაღაზია | 1610 1 1 00002 | B100 | 700 GEL | 1 ცალი |

ამ გატარებების შესრულების შემდეგ, თუ გადახვალთ "**ნაშთების**" ეკრანში, ნახავთ, რომ პროექტში "**N2 მაღაზია**" კომპიუტერის ანგარიშზე გაჩნდება 1 ცალი კომპიუტერის შესაბამისი ფინანსური და რაოდენობრივი ნაშთი, ხოლო პროექტში "**მთ.წიგნი**" კი პირიქით, კომპიუტერის ფინანსური და რაოდენობრივი ნაშთი შემცირდება 1 ცალი კომპიუტერის შესაბამისი ნაშთით.

*შესაძლო პრობლემები:*

1. პროექტების სიაში არსებულ (თქვენს მიერ დამატებულ) პროექტს ველარ შეუცვლით სახელს.

2. თუ რომელიმე პროექტისთვის შესრულებულია საბუღალტრო გატარებები, სისტემა საშუალებას არ მოგცემთ პროექტების სიიდან წაშალოთ ეს პროექტი. მაგალითად, თუ მოინდომებთ პროექტის "N2 მაღაზია" წაშლას. იხილავთ ეკრანს:




და თუ ამ ეკრანზეც დააჭერთ ღილაკს OK. იხილავთ შემდეგი სახის შეტყობინებას:




როგორც ხედავთ, სისტემამ აღმოაჩინა, რომ აღნიშნულ პროექტში შესრულებული გაქვთ საბუღალტრო გატარებები და ამ პროექტის წასაშლელად აუცილებელია თავდაპირველად წაიშალოს ამ პროექტში შესრულებული ყველა საბუღალტრო გატარება და აგრეთვე, ამ პროექტში დასმული სასატარტო ნაშთები. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ წაშალოთ თქვენთვის არასასურველი პროექტი.

3. ყურადღებას მიაქცევდით, რომ სისტემაში, პროექტების სიაში ორგანიზაციის შექმნისთანავე ავტომატურად იქმნება პროექტი "**მთ.წიგნი**". ამ პროექტის წაშლის საშუალებას არ მოგცემთ სისტემა, იმისდა მიუხედავად გაქვთ ამ პროექტში ნაშთები თუ არა.